საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ბაზრებსა და ბაზრობებზე მოვაჭრე ეკონომიკური სუბიექტების სტატისტიკური გამოკვლევის შედეგები

2025 წლის ოქტომბერი

25.12.2025
www.geostat.ge

25.12.2025

ბაზრებსა და ბაზრობებზე მოვაჭრე ეკონომიკური სუბიექტების სტატისტიკური გამოკვლევის შედეგები (2025 წლის ოქტომბერი)

2025 წლის ოქტომბერში საქართველოში ფუნქციონირებდა ბაზრების და ბაზრობების ორგანიზებით დაკავებული 194 ეკონომიკური სუბიექტი, რომელთა 35.1% ქალაქ თბილისში იყო განთავსებული, 16.5% – იმერეთში, 12.4% – სამეგრელო-ზემო სვანეთში, 11.3% – კახეთის რეგიონში, დანარჩენი 24.7% კი – სხვა რეგიონებში.

ბაზრებისა და ბაზრობების ორგანიზებით დაკავებული ეკონომიკური სუბიექტების პროცენტული განაწილება რეგიონების მიხედვით, 2025 წლის ოქტომბერში

	პროცენტული განაწილება (%)
საქართველო	**100.0**
მათ შორის:	
ქ. თბილისი	35.1
აჭარის ა.რ.	4.6
გურია	2.1
იმერეთი	16.5
კახეთი	11.3
მცხეთა-მთიანეთი	2.1
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	1.5
სამეგრელო-ზემო სვანეთი	12.4
სამცხე-ჯავახეთი	2.1
ქვემო ქართლი	7.7
შიდა ქართლი	4.6

ბაზრებისა და ბაზრობების ორგანიზებით დაკავებული ეკონომიკური სუბიექტებისათვის ყველაზე გავრცელებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა იყო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), რომლის წილად მოდიოდა მოქმედი ბაზრების და ბაზრობების საერთო რაოდენობის 74.7 %, ხოლო ინდივიდუალური მეწარმეების წილად მოდიოდა 22.2%. დანარჩენი ბაზრები და ბაზრობები საქმიანობდნენ სააქციო საზოგადოების (2.1%) ან კოოპერატივის (1.0 %) ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით.

25.12.2025

ქვემოთ მოცემული ცხრილი აჩვენებს ბაზრებისა და ბაზრობების ორგანიზებით დაკავებული ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობის განაწილებას ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით საქართველოს რეგიონებში:

ბაზრებისა და ბაზრობების ორგანიზებით დაკავებული ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით, 2025 წლის ოქტომბერში

	სულ	მათ შორის			
		შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება	ინდივიდუალური მეწარმე	სააქციო საზოგადოება	კოოპერატივი
საქართველო	**194**	**145**	**43**	**4**	**2**
მათ შორის:					
ქ. თბილისი	**68**	56	8	4	-
აჭარის ა.რ.	**9**	8	1	-	-
გურია	**4**	3	1	-	-
იმერეთი	**32**	25	7	-	-
კახეთი	**22**	13	9	-	-
მცხეთა-მთიანეთი	**4**	2	2	-	-
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	**3**	-	3	-	-
სამეგრელო-ზემო სვანეთი	**24**	14	10	-	-
სამცხე-ჯავახეთი	**4**	4	-	-	-
ქვემო ქართლი	**15**	13	1	-	1
შიდა ქართლი	**9**	7	1	-	1

საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ ბაზრებსა და ბაზრობებზე, 2025 წლის ოქტომბერში, საშუალოდ ვაჭრობდა[1] 35.0 ათასი კაცი. ამ მოვაჭრეთა 41.8% ვაჭრობდა ქალაქ თბილისში, 15.7% – იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონში, 9.5 პროცენტი – კახეთში, 8.7% – სამეგრელო-ზემო სვანეთში, 7.0% – შიდა ქართლში, 6.7% – აჭარის ა.რ.-ში, 6.2% – ქვემო ქართლში, 2.4% – მცხეთა-მთიანეთში, 1.1% – სამცხე-ჯავახეთში, ხოლო 0.9% – გურიის რეგიონში.

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2025 წლის ოქტომბერში საქართველოს ბაზრებსა და ბაზრობებზე მოვაჭრე ეკონომიკურმა სუბიექტებმა განახორციელეს 384.5 მილონი ლარის

[1] ავტომობილებით მოვაჭრე ეკონომიკური სუბიექტების გარდა.

ღირებულების სამომხმარებლო საქონელის (ავტომობილების გარდა) რეალიზაცია. რეალიზებული საქონლის ღიებულების 25.9% ტანსაცმლის და ფეხსაცმლის სასაქონლო ჯგუფზე მოდიოდა, 23.3% – ავეჯზე და საოჯახო ნივთებზე, 21.0% – სურსათზე და უალკოჰოლო სასმელებზე, 11.6% – პირადი ჰიგიენის და სხვა პირადი ნივთების ჯგუფზე, 8.2% – სატრანსპორტო საშუალებების სათადარიგო ნაწილებზე, 6.4% – საცხოვრებლის მოვლა-შეკეთების და უსაფრთხოებისთვის განკუთვნილ სასაქონლო ჯგუფზე, დანარჩენი კი დასვენების სხვა პროდუქტებზე (2.3%), ალკოჰოლურ სასმელებზე და თამბაქოზე (0.6%), საკომუნიკაციო მოწყობილობებზე (0.5%), მედიკამენტებზე და სამედიცინო პროდუქციაზე (0.2%) განაწილდა. 733.8 მილიონი ლარის ოდენობით შეფასდა ავტომობილებით მოვაჭრე ეკონომიკური სუბიექტების სავაჭრო ბრუნვის მოცულობა.

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2025 წლის ოქტომბერში ბაზრებისა და ბაზრობების ტერიტორიაზე მოვაჭრე ეკონომიკური სუბიექტების სავაჭრო ბრუნვის მოცულობის 61.6% ქალაქ თბილისზე მოდიოდა, 15.5% – იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონზე, 6.7% – აჭარის ა.რ.-ზე, 4.0% – სამეგრელო-ზემო სვანეთის, 3.9% – ქვემო ქართლის, 3.7% – შიდა ქართლის, 2.1% – კახეთის, 1.8% – სამცხე-ჯავახეთის, 0.4% – გურიის, 0.3% კი – მცხეთა-მთიანეთის რეგიონზე.

ბაზრებსა და ბაზრობებზე მოვაჭრე ეკონომიკური სუბიექტების ბრუნვის მოცულობა რეგიონების მიხედვით, 2025 წლის ოქტომბერში

	ბრუნვის მოცულობა, მილიონი ლარი
საქართველო	**384.5**
მათ შორის:	
ქ. თბილისი	236.7
აჭარის ა.რ.	25.8
გურია	1.6
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	59.5
კახეთი	8.1
მცხეთა-მთიანეთი	1.0
სამეგრელო-ზემო სვანეთი	15.5
სამცხე-ჯავახეთი	7.0
ქვემო ქართლი	15.0
შიდა ქართლი	14.3

25.12.2025

2025 წლის ოქტომბერში ბაზრებსა და ბაზრობებზე მოვაჭრე ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობის და მათი ბრუნვის მოცულობის პროცენტული განაწილება რეგიონების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგ დიაგრამაზე:

ბაზრებსა და ბაზრობებზე მოვაჭრე ეკონომიკური სუბიექტების და მათი ბრუნვის მოცულობის პროცენტული განაწილება რეგიონების მიხედვით

(%)



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:

დავითი ჟორჟოლიანი, ტელ: 2 36 72 10 (601), E-mail: dzhorzholiani@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge